1. დოკუმენტების საკონტროლო ჩამონათვალი:

- საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი;
- საკვანძო გზავნილები;
- TAP-ის ტუალეტისა და შხაპის სკამების შეფასების ფორმა.

2. აღჭურვილობის საკონტროლო ჩამონათვალი:

- პლანშეტები / კომპიუტერები;
- ყურსასმენები;
- ბლოკნოტი და კალამი;
- ტუალეტის სკამების, შხაპის სკამებისა და შხაპის ტაბურეტების ნაკრები.

3. ჯგუფური განხილვის შესაძლებლობები და მოსამზადებელი აქტივობები

თემები ინტერაქტიული სესიებით:		**შეთავაზებული ინსტრუქციები და მენტორის გემვის ჩანიშვნები:**
გაკვეთილი 1: შესავალი		
თემა 1: ტუალეტის სკამები	**განხილვა** თქვენს რაიონში როგორი ტუალეტებია უფრო გავრცელებული: აზიური (ჩასაჯდომი) თუ დასაჯდომი?	ჯგუფური განხილვა. მენტორებმა შესაძლოა სთხოვონ მსმენელებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ ფაქტორს ტუალეტის სკამის უზრუნველყოფისას.
	აქტივობა დეტალურად დააკვირდით ტუალეტის სკამებს, რომლებიც თქვენი სამსახურის ან რეგიონის ფარგლებშია ხელმისაწვდომი. • ზემოთ ჩამოთვლილ **„მნიშვნელოვან მახასიათებელთაგან“** რამდენი აქვს თითოეულ ტუალეტის სკამს? • რამდენი **„სხვა მახასიათებელი“** აქვს თითოეულ ტუალეტის სკამს? • აქვს თუ არა ტუალეტის სკამებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებული დამატებითი მახასიათებლები?	დარწმუნდით, რომ სასწავლო სივრცეში ხელმისაწვდომია ტუალეტის სკამები, რათა მსმენელებმა მოცემული აქტივობის განხორციელება შეძლონ.

თემები ინტერაქტიული სესიებით:		**შეთავაზებული ინსტრუქციები და მენტორის გემვის ჩანიშვნები:**
თემა 2: შხაპის სკამები	**აქტივობა** დეტალურად დააკვირდით შხაპის სკამებს ან/და ტაბურეტებს, რომლებიც თქვენი სამსახურის ან რეგიონის ფარგლებშია ხელმისაწვდომი. • ზემოთ ჩამოთვლილ **„მნიშვნელოვან მახასიათებელთაგან“** რამდენი გააჩნია თითოეულ შხაპის სკამს ან ტაბურეტს? • რამდენი **„სხვა მახასიათებელი“** აქვს თითოეულ შხაპის სკამს? • აქვს თუ არა შხაპის სკამებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებული დამატებითი მახასიათებლები?	დარწმუნდით, რომ სასწავლო სივრცეში ხელმისაწვდომია შხაპის სკამები, რათა მსმენელებმა მოცემული აქტივობის განხორციელება შეძლონ.

თემები ინტერაქტიული სესიებით		რეკომენდებული ინსტრუქტაჟი და მენტორის შენიშვნები დაგეგმვის თაობაზე
გაკვეთილი 2: **ეტაპი 1: შერჩევა**		
თემა 2: გეგმა	**აქტივობა: „გაიცანით დაი“** დაი 65 წლისაა, რომელიც მცირე ხნის წინ მოყვა ავტოსაგზაო შემთხვევაში. მას აქვს მენჯის დაზიანება და მუხლის ქვემოთ ამპუტაცია. მას ფეხის პროთეზი ჯერ არ აქვს და გადაადგილებისთვის იღლიის ყავარჯნებს იყენებს. შეფასების პროცესში, ინტერვიუს დროს, დაი ამბობს, რომ სახლის პირობებში მას შეუძლია აბაზანაში შესვლა. თუმცა მას აქვს აზიური ტიპის ტუალეტი და ჩაკუზვა არ შეუძლია. ის ასევე აღნიშნავს, რომ დგომა რთული და მტკივნეულია. დაის ნაწოლის სიმპტომები არ აღენიშნება და არ არის აღნიშნული დაზიანების ჩამოყალიბების რისკის ქვეშ. **1. მიიღებდა თუ არა დაი ტუალეტის სკამისაგან სარგებელს?** ☐ დიახ ☐ არა **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ!** დიახ, აზიურ (ჩასაჯდომ) ტუალეტზე განთავსებული ტუალეტის სკამი დაის გაუადვილებს დაჯდომას, ადგომასა და ტუალტზე წონასწორობის შენარჩუნებას. **2. . მიიღებდა თუ არა დაი შხაპის სკამისაგან სარგებელს?** ☐ დიახ ☐ არა **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ:** დიახ, რადგან მჯდომარე მდგომარეობაში დაბანა დაისთვის მეტ უსაფრთხოებასა და ნაკლები ტკივილის განცდას უზრუნველყოფს. **3. თქვენი აზრით, ტუალეტისა და შხაპის სკამის რომელი მახასიათებლები იქნება დაისთვის გამოსადეგი?** ☐ მოსახსნელი რეზერვუარი/ავზი (ტუალეტის სკამისთვის) ☐ საზურგე ☐ სახელურები ☐ ბორბლები ☐ სიმაღლის რეგულირებით აკეცვადი სატერფული ☐ დარბილებული ზედაპირი **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ!** სწორია: საზურგე და სახელურები. დაი ამბობს, რომ საკუთარი სახლის აბაზანაში შესვლას ახერხებს. შესაბამისად, მას არ სჭირდება ტუალეტის სკამის მოსახსნელი რეზერვუარი. მას ასევე არ ესაჭიროება რომელიმე სკამისათვის ბორბლები ან სატერფულები. დაის არ აქვს ნაწოლის გაჩენის რისკი, ამიტომ დარბილებული ზედაპირების გამოყენება არაა საჭირო.	აქტივობები — „გაიცანით დაი“ და „გაიცანით ლოლა“ — მეორე გაკვეთილის ბოლოს ხორციელდება. ეს მენტორებისათვის კარგი შესაძლებლობაა, რათა შეამოწმონ, ყველა მსმენელმა შეძლო თუ არა აქტივობის დასრულება და გაარკვიონ, აქვთ თუ არა მათ შეკითხვები. ლოლას შემთხვევაში მენტორებს შეუძლიათ განმარტონ, თუ ვისთან (მათ რაიონში) შესაძლოა ლოლას გადამისამართება.

თემები ინტერაქტიული სესიებით		რეკომენდებული ინსტრუქტაჟი და მენტორის შენიშვნები დაგეგმვის თაობაზე
	აქტივობა: „გაიცანით ლოლა“ ლოლა 30 წლისაა და მას ტუალეტში სიარულის პრობლემა აქვს. ის ვერ გრძნობს, თუ როდის უნდა გავიდეს ტუალეტში და შემთხვევით ეპარება განავალი და შარდი. ეს პრობლემები ერთი კვირის წინ დაეწყო. მანამდე მას მსგავსი სირთულეები არ აღენიშნებოდა და იყო ჯანმრთელი. რა უნდა მოიმოქმედოთ? ☐ უზრუნველყოთ ტუალეტის სკამით ☐ უზრუნველყოთ შხაპის სკამით ☐ გადაამისამართოთ შეუკავებლობასთან დაკავშირებულ კონსულტაციაზე ☐ დაუყოვნებლივ გადაამისამართოთ ჯანდაცვის სპეციალისტთან **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ!** ლოლა დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოთ ჯანდაცვის სპეციალისტთან, რადგან, შესაძლოა, მას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდეს.	

თემები ინტერაქტიული სესიებით:		რეკომენდებული ინსტრუქტაჟი და მენტორის შენიშვნები დაგეგმვის თაობაზე:
გაკვეთილი 3: **ეტაპი 2: მორგება**		
თემა 1: დამხმარე საშუალების შემოწმება და დარეგულირება	**აქტივობა:** შეამოწმეთ დასაშვები წონა და ივარჯიშეთ თქვენს ხელთ არსებული ტუალეტისა და შხაპის სკამების სიმაღლის დარეგულირებაში.	დარწმუნდით, რომ სასწავლო სივრცეში ხელმისაწვდომია ტუალეტისა და შხაპის სკამები, რათა მსმენელებმა შეძლონ პრაქტიკაში დასაშვები წონის შემოწმება და სიმაღლის დარეგულირება.

თემები ინტერაქტიული სესიებით:		რეკომენდებული ინსტრუქტაჟი და მენტორის შენიშვნები დაგეგმვის თაობაზე:
თემა 2: უნიტაზის ან შხაპის სკამის გამოყენების ადგილის განსაზღვრა	**აქტივობა:** **გახსოვთ სოფია?** სოფია გადაადგილებისთვის როლატორს იყენებს. დააკვირდით სოფიას ტუალეტს. **1. შესაფერისია თუ არა ის მისთვის?** ☐ დიახ ☐ არა **2. რატომ არის შესაფერისი?** **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ!** დიახ, სოფიას ტუალეტი შესაფერისად გამოიყურება. ✓ გზა სწორი და დაბრკოლებებისაგან თავისუფალია; ✓ სათავსი პრივატულია; ✓ სივრცე საკმარისია; ✓ ტუალეტის სკამის ოთხივე ფეხი თანაბრად ეხება იატაკს; ✓ არსებობს ადგილი, სადაც სოფიას ხელების დაბანა შეუძლია; ✓ კარგი განათებაა.	სოფიასა და კალის დასაბანი ადგილების შეფასების აქტივობების შემდეგ მენტორებს შეუძლიათ, მსმენელებთან მოაწყონ დამატებითი დისკუსია შემდეგ საკითხებზე: • რა სახის ტუალეტები და საშხაპეები შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს, რომლებიც მათი მომსახურებით სარგებლობენ; • რა დახმარების გაწევა შეუძლიათ მათ (ან რა როლი შეიძლება შეასრულონ) ადამიანებისთვის ტუალეტებისა და საშხაპეების მაქსიმალურად მოსახერხებლად მოწყობის კუთხით.
	აქტივობა: **გახსოვთ კალი?** კალის ართრიტი აწუხებს, სიარულისას ის ტკივილს განიცდის. დააკვირდით მის სააბაზანოს. **1. შესაფერისია თუ არა კალისთვის მისი სააბაზანო?** ☐ დიახ ☐ არა **2. რატომ არის შესაფერისი?** **პასუხის სანახავად დააწკაპუნეთ!** დიახ, კალის სააბაზანო შესაფერისად გამოიყურება. ✓ სათავსი პრივატულია; ✓ სივრცე საკმარისია; ✓ ტუალეტისა და შხაპის სკამის ოთხივე ფეხი თანაბრად ეხება იატაკს; ✓ არსებობს ადგილი, სადაც კალის ხელების დაბანა შეუძლია; ✓ კარგი განათებაა.	

	თემები ინტერაქტიული სესიებით:	რეკომენდებული ინსტრუქტაჟი და მენტორის შენიშვნები დაგეგმვის თაობაზე:
	რეფლექსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა გააზიარეს საკუთარი წუხილი საგანგებო სიტუაციებისათვის განკუთვნილ ადგილობრივ თავშესაფართან დაკავშირებით. მათ განაცხადეს, რომ, მიუხედავად წყალდიდობებითა და ციკლონებით განპირობებული საფრთხისა, თავშესაფრით სარგებლობას სახლში დარჩენას ამჯობინებდნენ. მათ შეშფოთებას განაპირობებდა შემდეგი: • ტალახიანი და უსწორმასწორო გზები; • ამაღლებულ შენობებამდე მისასვლელ გზებზე პანდუსებისა და მოაჯირების არარსებობა; • ტუალეტებისა და დასაბანი ადგილების კარები მეტისმეტად ვიწროა ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის; • ტუალეტებში მოსაჭიდებელი ძელების არარსებობა; • ყველა ტუალეტი მხოლოდ აზიური (ჩასაჯდომი) ტიპისაა. ამ საკითხების საფუძველზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილობრივ თემთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩათვლით, ერთობლივად იმუშავეს მოცემულ საკითხზე, რაც თავშესაფრის საყოველთაო მისადგომობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ძირითადი ქმედებები მოიცავდა შემდეგს: • დაიგო ეტლით მოსარგებლეებზე მორგებული, მუდმივი გამოყენების, დაბრკოლებებისაგან თავისუფალი გზები; • ამაღლებული შენობების კიბის საფეხურების გვერდით დამონტაჟდა მოაჯირებით აღჭურვილი პანდუსები; • გაფართოვდა ტუალეტებისა და დასაბანი ადგილების კარის ღიობები; • მთელ რიგ ტუალეტის კაბინებში დამონტაჟდა ტუალეტის სკამები და მოსაჭიდებელი ძელები, რომლებიც ადამიანების უსაფრთხოდ გადაყვანას უწყობდა ხელს.	მენტორებს შეუძლიათ, ეს ნაწილი ჯგუფური დისკუსიის სახით წარმართონ.

ამ მოდულის დასრულების შემდეგ მსმენელებმა პრაქტიკაში უნდა განახორციელონ ტუალეტისა და საშხაპე სკამების უზრუნველყოფა ოთხი ეტაპიდან თითოეულის გამოყენებით:

1. როლური თამაში კოლეგებთან ერთად (ზედამხედველობის ქვეშ);

2. კლიენტებთან პრაქტიკული საქმიანობა (ზედამხედველობის ქვეშ);

თუ მათი ორგანიზება შესაძლებელია, სახლში ვიზიტები ძალზე რეკომენდებულია, რათა ადამიანებმა უკეთ გაიაზრონ სხვადასხვა სახლის გარემოში ტუალეტისა და შხაპის სკამების წარმატებით გამოყენების შესაძლებლობები და რა ტიპის მხარდაჭერა შესაძლოა იყოს საჭირო.

მენტორებს შეუძლიათ, გამოიყენონ უნარ-ჩვევის საკონტროლო ჩამონათვალი, რათა შეამოწმონ და განიხილონ მსმენელების წინსვლა მათი კომპეტენციის ამაღლების კუთხით (უსაფრთხო და ეფექტური პრაქტიკული საქმიანობა).